ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის
სახელობის სამუსიკო სკოლის 2023-2024 სასწავლო
წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის სამუსიკო სკოლა უკვე 67 წელია ემსახურება მომავალი თაობის სახელოვნებო განათლების საპატიო საქმეს. მისი მიზანია ახალგაზრდები აზიაროს კლასიკური მუსიკის უმდიდრეს შემოქმედებას, შეასწავლოს ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნება და რაც მთავარია აღზარდოს კარგი მსმენელი. ასევე საჭიროა შემოქმედებითი მიდრეკილებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, , კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

სამუსიკო სკოლის პერსონალი, სადაც დასაქმებულია 18 თანამშრომელი, ღირსეულად ართმევს თავს ამ მიზნებს.

სკოლაში ფუნქციონირებს ფორტეპიანოს, ვიოლინოს, თეორიული, საესტრადო ვოკალის განყოფილებები, სადაც ირიცხება 91 მოსწავლე. აქედან 64 ფორტეპიანოს კლასში, 5 ვიოლინოს კლასში, ხოლო 22 მოსწავლე საგუნდო და სოლო განყოფილებებზე.

სწავლების პირველი საფეხური (საბაზო) – 7 წელი, მეორე საფეხური-9 წელი. ფორტეპიანოსა და ვიოლინოს განყოფილებებზე სწავლება ფასიანია (90 ლარი წელიწადში), აქედან 18 მოსწავლე განთავისუფლებულია, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი. სხვა განყოფილებებზე სწავლება უფასოა.

სწავლება მიმდინარეობს სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილი გეგმის მიხედვით, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. თითოეულ მოსწავლისათვის დგება პროგრამა, რომელსაც შეისწავლის წლის მანძილზე.

სკოლაში მოღვაწეობს 8 პედაგოგი და ერთი კონსულტანტი, რომელიც მეთოდურ დახმარებას უწევს პედაგოგებს, მუშაობს ინდივიდიალურ მოსწავლებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკურსებში, ატარებს

მასტერ-კლასებს და თემატურ ლექციებს. წლის განმავლობაში ტარდება ღია და დახურული კონცერტები, სასკოლო კონკურსები, მოსმენები, ჩათვლები და გამოცდები.

სასწავლო პროცესის პარალელურად მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონცერტებში და კონკურსებში. ამ მხრივ გასული სასწავლო წელი საკმაოდ დატვირთული იყო.

1. 2023 წლის 7-11 დეკემბწერს მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის მე-16 საერთაშორისო კონკურს ფესტივალზე ქ.ბაქოში, სადაც მეორე საპრიზო ადგილი დავიმსახურეთ.
2. 25 დეკემბერს სკოლაში გაიმართა საშობაო კონცერტი.
3. 28 დეკემბერს კინოთეატრის დარბაზში ჩავატარეთ საახალწლო კარნავალი.
4. 6 მარტს ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერეტი.
5. 19 მარტს ქ.წყალტუბოში მონაწილეობა მივიღეთ ბახის სახელობის მე-7 ეროვნულ კონკურსზე, სადაც 1 ადგილი დავიმსახურეთ.
6. 9 აპრილს ქ.ქუთაისში ჩატარდა მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ღვაწლმოსილ პედაგოგის და თეორიტიკოსის ქალბატონ ეთერ კაკუშაძის ხსოვნას მიეძღვნა. კონფერენციაზე წარსდგა მე-7 კლასის მოსწავლე ლიზი კურტანიძე თემით „ ერთი სიმღერის ისტორია“ , რომელიც დაჯილდოვდა მთავარი პრიზით - ეთერ კაკუშაძის სახელობის პრემიით და მუზეუმის რჩეული და საპრეზენტაციო პროექტის საინტერესოდ წარდგენის დიპლომით. კონფერენცია გაალამაზა და დიდი წარმატება ხვდა ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელ უხუცესთა ანსამბლ „ოდილას“, რომელმაც შეასრულა ივანე აბაშიძის მიერ დამუშავებული სიმღერა „გოგოს ვეპარებოდი“ .
7. 21 აპრილს, ქ.ქუთაისში, მ.ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-8 ეროვნული კონკურსი, სადაც სკოლის გოგონების გუნდი წარმატებით წარსდგა (პედ.დარეჯან კაციტაძე) და მიგვიწვიეს ქ.თბილისში გალა კონცერტზე.
8. 21 აპრილს მონაწილეობა მივიღეთ „მომავლის ვარსკვლავების“ ეროვნულ კონკურსზე, სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლემ მეორე საპრიზო ადგილი და დიპლომი დაიმსახურა.

9. 20 მაისს ქ.სენაკში მე-7 საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე მონაწილეობდა ჩვენი სკოლის უმცროს კლასელი გოგონათა გუნდი განსხვავებული პროგრამით, რასაც დიდი წარმატება ხვდა.
10. 5 ივნისს ჩატარდა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.
11. 12 ივნისს სოფელ ბორითში ჩავატარეთ სამუსიკო სკოლასთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „გრავეს“ კონცერტი მოსწავლეებთან ერთად.

სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. სამუსიკო სკოლის 7 კლასი დაამთავრა 8 მოსწავლემ, ხოლო 9 კლასი 1 მოსწავლემ. ეხლა კი ვემზადებით ახალი 2024-2025 სასწავლო წლის გასაგრძელებლად.

2024 წელს სამუსიკო სკოლის დაფინანსება ბიუჯეტიდან შეადგენს 221600 ლარს.

აქედან ხელფასები შადგენს 214 800 ლარს, ხოლო 6800 ლარი გაწერილია სხვადასხვა ხარჯებისათვის.

საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 4476 ლარი,რომელიც გაიხარჯა სხადასხვა ღონისძიებებსა და კონკურსებში მონაწილეიბისათვის.

პატივისცემით სამუსიკო სკოლის

დირექტორი : ნ.ალექსიძე.